ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5413589

ნომერი: AR1826765

თარიღი : 18.05.2021

გაცემის თარიღი : 21.05.2021

გაცნობის თარიღი : 21.05.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიული გაბუნია პ/ნ 01014006026
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 48 კორ. 1 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია , რომლითაც ითხოვთ შენობის ფასადზე , წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე კონდიციონერის გარე აგრეგატის მოწყობის უფლებას .

პასუხად გაცნობებთ ქ. თბილისში, სექტორი ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #140, შპს „ისანი ბილდინგს“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.17.11.027.094),სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბერს №4250492 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტი, გაიცა ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
ვინაიდან წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით დგინდება, რომ თქვენს მიერ თქვენს მიერ კონდიციონერის განთავსება არ ხორციელდება შეთანხმებული პროექტის მიხედვით, სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად არ მიაჩნია მიზანშეწონილად თქვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვითმისი მოცემულ ადგილზე განთავსებვა. და თვლის, რომ მისი განთავსება უნდა მოხდეს პროექტით განსაზღვრულ გამათბობელი-კონდიცირების სისტემების განთავსებისთვის განკუთვნილ დგილზე, შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ კონდიცირის გარე აგრეგატს განათავსებთ პროექტის შესაბამისად , აღნიშნულისათვის დამატებით ნებართვის გაცემა არ არის საჭირო .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, AR1826765 ნომრით რეგისტრირებული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.